დანართი 1

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი

<u>დამტკიცებულია:</u>

<u>27/12/2023 წელი</u>

აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი

თბილისი
2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე კოდექსი განსაზღვრავს და არეგულირებს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევისთვის ადგენს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს.

2. აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი ვრცელდება სტუდენტებზე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე (შემდგომში-პერსონალი).

მუხლი 2. ძირითადი პრინციპები

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის თითოეული პერსონალისთვისა და სტუდენტისთვის აკადემიური კეთილსინდისიერება ეფუძნება პასუხისმგებლობის, პატივისცემის, ნდობის, სამართლიანობის და ღირსების შეგრძნებას აკადემიურ საქმიანობაში;

3. წინამდებარე კოდექსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის. აკადემიური სივრცის თითოეული მონაწილე ვალდებულია დაიცვას კოდექსის პრინციპები. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა მკაცრად კონტროლდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ;

4. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და გაზიარებას უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოების წევრებს შორის, რომლებიც თანხმდებიან, რომ საუნივერსიტეტო საქმიანობაში დაუშვებელია აკადემიური თაღლითობა, ტყუილი, პროფესიული გულგრილობა და პლაგიატი.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

3.1. აკადემიური თაღლითობა - სტუდენტის ან სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირის მიერ საკუთარი თავის წარმოსაჩენად გამიზნული, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა:

ა) აკადემიური ნაშრომის ან რაიმე სხვა სახის მასალის (სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ვიდეო-აუდიო მასალა და სხვ.) ავტორის ნებართვის გარეშე წვდომა, მოპოვება, გამოყენება ან/და გავრცელება;

ბ) შეფასების მისაღებად სხვა პირის ძველი ნაშრომის გამოყენება;

გ) დახმარების უნებართვოდ გაწევა და მიღება (კარნახი, ლექტორის მიერ სტუდენტისთვის საგამოცდო დავალების ნიმუშის მიწოდება და ა.შ.);

დ) სხვის მაგივრად ნაშრომის ან დავალების შესრულება რაიმე სახის სარგებლის მიღების მიზნით.

3.2. ტყუილი - განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება აკადემიური მოთხოვნების დაკმაყოფილების გასაადვილებლად ან სხვა პირებთან შედარებით უპირატესობის მოსაპოვებლად:

ა) ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის მოგონება შეფასების ან/და სხვა სარგებლის მისაღებად;

ბ) მონაცემების, წყაროების ან ინფორმაციის გაყალბება;

დ) გამოცდის გაცდენის მიზნით არასწორი ინფორმაციის მიწოდება;

ე) ოფიციალური მიმოწერის გაყალბება;
ვ) ავტორისთვის ისეთი აზრის მიწერა, რომელიც მას არ გამოუთქვამს.

3.3. პროფესიული გულგრილობა - აკადემიური პერსონალის მიერ პროფესიული ვალდებულებების უგულებელყოფა, რაც გამოიხატება დაუდევრობით ან/და გულგრილობით სტუდენტების ან კოლეგების მიმართ.

3.4. პლაგიატი (აკადემიური სიყალბე) - სხვისი იდეების ან ტექსტის გამოყენება საკუთარი სახელით, წყაროს მითითების გარეშე.

მუხლი 4. პლაგიატის სახეები

4.1. პირდაპირი პლაგიატი (წყაროდან სიტყვა-სიტყვით გადმოწერა ციტირების ან სხვა ტიპის მითითების გარეშე);
4.2. თვითპლაგიატი (საკუთარი მოსაზრებების გამეორება მითითების გარეშე);
4.3. მოზაიკური პლაგიატი (სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების გაერთიანება, როდესაც არ ხდება ცალკეული ავტორების მითითება);
4.4. შემთხვევითი პლაგიატი (კვლევის საწყის ეტაპზე დაუდევრობა, თუმცა შედეგის გამო ისეთივე დარღვევაა, როგორიც გამიზნული პლაგიატი).

მუხლი 5. პლაგიატის თავიდან არიდება

5.1. პლაგიატის თავიდან არიდების მიზნით, აუცილებელია:
ა) მიუთითოთ გამოყენებული ინფორმაციის ზუსტი წყარო;
ბ) აღნიშნოთ იმ ადამიან(ებ)ის დამსახურება, ვინც დაგეხმარათ წერილობითი ნაშრომის შესრულებაში;
გ) გამოყენებული ციტატები ჩასვათ ბრჭყალებში, წყაროს ზუსტი დასახელებით;
დ) არ გამოიყენოთ ინტერნეტში განთავსებული მასალები მითითების გარეშე;
ე) ავტორის იდეების პარაფრაზირებისას პარაფრაზი განსხვავდებოდეს ორიგინალისგან ენობრივად, თუმცა იმეორებდეს ძირითად აზრს;
ვ) საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული მასალის ციტირებისას გააკეთოთ შესაბამისი მითითება.

მუხლი 6. პლაგიატის პრევენცია

6.1. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს თანმიმდევრულ პოლიტიკას აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობადობის გასაზრდელად.
6.2. პლაგიატის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სავალდებულო საგნის სახით ისწავლება აკადემიური წერა.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე

7.1. სანქციები სტუდენტების მიმართ:

ა) გაფრთხილება - ნაშრომის/საგამოცდო დავალების განმეორებით შესრულება;

ბ) ქულის დაკლება;

გ) შესაბამისი სასწავლო კომპონენტის უარყოფითი შეფასება (ნაშრომის განულება);

დ) სასწავლო კურსში უარყოფითი შეფასება (F);

ე) მოპოვებული ხარისხის ჩამორთმევა.

7.2. სანქციები აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიმართ:

ა) საყვედური პირად საქმეში;

ბ) მონიტორინგის დაწესება მის საქმიანობაზე;

გ) შრომის ანაზღაურების დაკავება;

დ) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 8. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია

8.1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია იქმნება რექტორის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში;

8.2. კომისია უნდა შედგებოდეს შესაბამისი მიმართულების (დარგის, სპეციალობის) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისგან.

8.3. კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების (დარგის, სპეციალობის) წარმომადგენელი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.

8.4. კომისიის წევრებს, უნდა ჰქონდეთ კვლევითი საქმიანობის მდიდარი გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია კვლევის მოცემულ სფეროში და ისინი სამეცნიერო საზოგადოებაში უნდა სარგებლობდნენ ნდობითა და პატივისცემით.

8.5. კომისია უნდა შედგებოდეს 5 წევრისაგან.

8.6. კომისიის მუშაობა კონფიდენციალურია. კომისია ვალდებულია დაიცვას როგორც განმცხადებლის, ასევე აკადემიური კეთილსინდისიერების სავარაუდო დამრღვევი პირის კონფიდენციალობა, რათა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადასტურებამდე ზიანი არ მიადგეს პირის პრესტიჟსა და ავტორიტეტს. კომისიის წევრი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის დასრულებამდე.

8.7. კომისიის სხდომა დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც.

8.8. კომისიის გადაწყვეტილებით სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომისიის ყველა დამსწრე წევრის ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება. ვიდეოჩანაწერი თან ერთვის სხდომის ოქმს, ხოლო მისი დამუშავება ხორციელდება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

8.9. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ამასთან, კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისგან თავის შეკავების უფლებით.

8.10. კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე კოდექსით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ, კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით.

8.11. კომისიის პირველი სხდომა უნდა დაინიშნოს კომისიის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა. კომისია პირველ სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას და ღია კენჭისყრით ირჩევს თავჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

მუხლი 9. კომისიის უფლებები და ვალდებულებები

9.1. კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლისგან მოითხოვოს დარღვევის შინაარსის გამომხატველი გარემოებების შესახებ დამატებითი წერილობითი ინფორმაციის წარდგენა. განმცხადებელი ვალდებულია კომისიას წარუდგინოს დამატებითი წერილობითი ინფორმაცია, რომელშიც მკაფიოდ უნდა ასახოს დარღვევის შინაარსი, შინაარსობრივი შედარებები და მათი ანალიზი. ინფორმაციის წარმოუდგენლობა, წარდგენილ განცხადებაზე წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

9.2. საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი/ექსპერტი.

9.3. კომისიას უფლება აქვს, მიმდინარე წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, კომისიის სხდომაზე მოიწვიოს განმცხადებელი და, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს მას წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები კომისიის მუშაობის დროს წამოჭრილ საკითხებზე.

9.4. კომისიის სხდომაზე განმცხადებელი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დარღვევის შინაარსის გამომხატველი გარემოებების აღწერით და მისი დასაბუთებით. განმცხადებელს უფლება არა აქვს დარღვევის შესაძლო ჩამდენი პირის მიმართ მოითხოვოს კონკრეტული სანქციის გამოყენება.

9.5. კომისიას უფლება აქვს, მიმდინარე წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, კომისიის სხდომაზე მოიწვიოს სხვა პირებიც, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ განცხადებაში აღნიშნული ფაქტების შესახებ ინფორმაციას.

9.6. კომისია ვალდებულია, მიმდინარე წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, კომისიის სხდომაზე მოიწვიოს განცხადებაში მითითებული დარღვევის/დარღვევების შესაძლო ჩამდენი პირი.

9.7. განცხადებაში მითითებული დარღვევის/დარღვევების შესაძლო ჩამდენ პირს უფლება აქვს კომისიას მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.

9.8. გადაწყვეტილებას, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე, იღებს კომისია შემადგენლობის უმრავლესობით.

9.9. კომიტეტმა გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.

9.10. კომიტეტის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს კომისიის დასკვნას, წარმოების მასალაში არსებულ სხვა დოკუმენტებს, საქმის ირგვლივ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამის მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, სათანადოდ უნდა იქნეს

გამოკვლეული კომიტეტის მიერ.

9.11. კომიტეტის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომიტეტის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც აისახება კომიტეტის სხდომის ოქმში.

9.12. კომიტეტის წევრებს შორის ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში, კომიტეტის თავმჯდომარე სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

9.13. კომიტეტის სხდომის შედეგებზე ფორმდება კომისიის სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე) და მდივანი.

9.14. კომიტეტის ოქმში შეიტანება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგები. ოქმს თან დაერთვის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი, მათ შორის კომისიის დასკვნა, წარმოების მასალაში არსებული სხვა დოკუმენტები, ასევე საქმის განხილვისას გამოკვლეული სხვა მტკიცებულებები.

მუხლი 10. აპელაცია

10.1. პირს, რომელიც არ ეთანხმება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია დასკვნას, უფლება აქვს დასკვნის გაცნობიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღეში წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვოს საკითხის აპელაცია.

10.2. აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული: მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და არგუმენტები ნათლად ჩამოყალიბებული. ზოგადი ხასიათის აპელაცია არ განიხილება. გადაწყვეტილება აპელაციის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

10.3. უნივერსიტეტის რექტორი სააპელაციო განაცხადის მიღებიდან 3 დღის ვადაში ქმნის დროებით სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის წევრი. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 11. მონაცემების შენახვა და ანგარიშგება

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის ინფორმაცია ინახება სტუდენტის ან აკადემიური პერსონალის პირად საქმეში. ჩანაწერები კონფიდენციალურია და მხოლოდ დაკავშირებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი. მისი თანხმობის გარეშე, უნივერსიტეტს უფლება არ აქვს გასცეს ინფორმაცია მესამე პირებზე.